

## „დამტკიცებულია“

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის  
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის,  
სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ  
2019 წლის 29 იანვრის № 01-03/11 ბრძანებით

### ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს

### წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

### საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების

### დებულება

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება წარმოადგენს უნივერსიტეტის ორგანიზაციულ დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
2. საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებითა და უნივერსიტეტის სხვა შიდანორმატიული აქტებით.
3. საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

#### მუხლი 2. მიზნები და ამოცანები

1. განყოფილების ძირითადი მიზნები და ამოცანებია:
  - 1.1. საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით უნივერსიტეტის სტუდენტებს, ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს შეუქმნას სწავლის, შრომისა და სამეცნიერო - კვლევითი მუშაობისათვის შესაბამისი პირობები;
  - 1.2. უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელის დაგეგმარება, გამართვა და ოპტიმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

- 1.3. უნივერსიტეტის ერთიანი საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბება და მისი დაკავშირება მსოფლიო (გლობალურ) საინფორმაციო სივრცესთან;
- 1.4. უნივერსიტეტში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება;
- 1.5. უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის დამუშავება და შედეგების წარმოდგენა უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
- 1.6. უზრუნველყოფს „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ოფიციალური ვებ-გვერდის ადმინისტრირების წესი“-ით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას.

### **მუხლი 3. ფუნქციები და უფლებამოსილებები**

1. განყოფილების ფუნქციებია:
  - 1.1. უნივერსიტეტის საერთო კომპიუტერული ქსელის შექმნა, მისი მართვა და სისტემატური განახლება-გაფართოება, მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ახალი მომხმარებლის ჩართვისას საჭირო სამონტაჟო და პროგრამული სამუშაოების ჩატარება;
  - 1.2. უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის მუდმივი ოპერატიული განახლება, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელშეწყობა ლოკალური და თემატური ვებ-გვერდის შექმნაში;
  - 1.3. უნივერსიტეტის მონაცემთა კომპიუტერული ბაზებით მომხმარებელთა სარგებლობის უზრუნველყოფა. ბაზის სერვისების დარეზერვება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
  - 1.4. უნივერსიტეტის კომპიუტერული ტექნიკისათვის სტანდარტული პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, პროგრამული დარღვევების აღმოფხვრა, ვირუსებისაგან გაწმენდა. კომპიუტერული ტექნიკის მოდერნიზაცია და რემონტი;
  - 1.5. კომპიუტერული რესურსცენტრების მოწყობა და მისი გამართული ფუნქციონირება;
  - 1.6. კოდექს-სერვერების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და მათი სისტემატური განახლება კონტრაქტორი კომპანიისაგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე;
  - 1.7. სხვადასხვა საფინანსო პროგრამების ბანკებთან კავშირის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

1.8. პრეზენტაციებისთვის შესაბამისი აპარატურისა და ელექტრონული მასალის მომზადებაში სტრუქტურული ერთეულებისათვის დახმარების გაწევა;

1.9. ვიდეო კონფერენციებისათვის ქსელური მხარდაჭერის კონფიგურირება, შესაბამისი აპარატურის მომზადება და გამართული ფუნქციონირება;

1.10. კომპიუტერული და ქსელური ტექნიკის საგარანტიო უზრუნველყოფის ექსპერტიზა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება.

#### **მუხლი 4. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

1. განყოფილების დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.